საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გარეული ღორი

გარეული ღორი, ტახი, ეშვი (Sus scrofa), არამცოხნელი ძუძუმწოვარი წყვილჩლიქოსანი ცხოველი ღორისებრთა ოჯახისა.

გავრცელებულია ჩრდ. აფრიკაში, ევროპასა და აზიაში, კავკასიაში. ცნობილია 5 ქვესახეობა. საქართველოში გვხვდება სამხრეთ-აღმოსავლური გარეული ღორი (Sus scrofa attila). ტახის სხეულის სიგრძე 2 მ, სიმაღლე მინდაოში 130 სმ, მასა 50–300 კგ-ს აღწევს. ქუბი უფრო პატარაა, მურა-ჟანგისფერი. სხეული დაფარული აქვს უხეში ჯაგრით, რ-ის ქვეშ რბილი და თბილი თივთიკია.

ბინადრობს როგორც ჭალის, ისე მთის ტყეებში ზ. დ. 2500 მ-მდე. იკვებება შერეული საკვებით, უფრო ხემცენარეთა ნაყოფითა და ბალახით. ბინადრობს კოლტებად. სქესობრივად 15 თვისა მწიფდება. ზრდას 4 წლისა ამთავრებს. ცოცხლობს 18 წლამდე. ხურაობს ნოემბ.-დეკ-ში. მაკეობის ხანგრძლივობა 125 დღ-ღ აღწევს. ყრის 2 – 7, ზოლებიან გოჭს. შინაური ღორის წინაპარია, მას ეჯვარება და იძლევა ნაყოფიერ თაობას. ძვირფასი სანადირო ობიექტია.

ამჟამად მისი რაოდენობა საქართველოში 2000 სულს არ აღემატება.

ა. არაბული